

გურიაში „კალანდა“ იღვასსნაულეს



ალიონი. კალანდა 2023 – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის ეთნოგრაფიულ სივრცეში, ყველა ძველი ტრადიციის დაცვით ჩატარდა და საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.

გაიმართა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი,

თეატრალური პერფორმანსები; კულინარიული მასტერკლასი – შეფ-მზარეული ლადო დანელია; მოენყო ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა; გამოცხვად გრანდიოზული ღვეზელი; მომზადდა ფელამუში გურული ტრადიციული ნუგბარით; ჩატარდა ტრადიციული საკალანდო რიტუალი

– აგუნა, ჩიჩილაკის დამზადება და ჭურის მოხდა. მსმენელის წინაშე დათუნა სირბილაძე და კვარტეტი „რანიჩა“, სალომე ბაკურაძე და სოფო ბედია წარსდგნენ.

ღონისძიებას დაესწრნენ გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძე**, შვედეთის ელჩი საქართველოში **ულრიკ თიდესტრომი**, გურიის გუბერნატორი **გიორგი ურუშაძე**, შემოქმედელი მიტროპოლიტი **მეუფე იოსები**, სხვა მოწვეული სტუმრები და მოქალაქეები.

გაზეთ „ალიონთან“ „კალანდა 2023“ სრულიად საქართველოს მიულოცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ.

– დღეს, ოზურგეთის მუ-

ნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში აღვნიშნავთ „კალანდას“. გვემაყება, რომ ჩვენი ოზურგეთის ეს სოფელი მასპინძლობს და მომავალ თაობას გადასცემს უღამაზეს და უმშვენიერეს „კალანდის“ ტრადიციას.

მინდა მივულოცო სრულიად საქართველოს შობა ახალი წელი. ვუსურვო წინსვლა, წარმატება, ბედნიერება. მშვიდობიანი წელი ყოფილიყოს, – გვითხრა არჩილ თალაკვაძემ.

კალანდა თანამოქალაქეებს, სტუმრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ მიულოცა:

„ძვირფასო თანამოქალაქეებო, ძვირფასო ოზურგეთელებო, გილოცავთ კალანდას! მშვიდობა, ბედნიერება და კეთილდღეო-



ბა მოეტანოს ახალ წელს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

ოზურგეთში, სოფელი შემოქმედის ეთნოგრაფიულ სივრცეში, კალანდა ტრადიციისამებრ ჩვენს სტუმრებთან ერთად აღვნიშნეთ. მადლობა, რომ ჩემი მოწვევა მიიღეთ და მობრძანდით.

მადლობა მერიის თანამშრომლებს ღონისძიების კარგად ორგანიზებისთვის! კიდევ ერთხელ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ! მრავალ კალანდას დაესწარიო!“ – აღნიშნა ავთანდილ თალაკვაძემ.

კალანდის აღნიშვნა ოზურგეთში გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამომცემბა. №1 (10446) 17 იანვარი, 2023 წ. შპსი 80 თეთრი.

როპერტ ადარი,
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა გაერთიანება „გულთა კავშირი“-ს პრეზიდენტი

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა გაერთიანება „გულთა კავშირი“ გაზეთ „ალიონს“ გამოცემის 92 წლისთავს ულოცავს, მის მთავარ რედაქტორს ბ-ნ ნუგზარ ასათიანს, რედაქციისა და გამომცემელთა მთელს კოლექტივს და რა თქმა უნდა, ამ შესანიშნავი გაზეთის მკითხველებს. ლეხაიმ, ძვირფასო მეგობრებო!!!

ს ტ ი ქ ი ა გ უ რ ი ა შ ი

ლანჩხუთში ქლირბა ქარბა დიდი ზარალი გამოიწვია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის შედეგად საცხოვრებელი სახლების სახურავები, ელექტროსადენები, ბუნებრივი აირის მილები დაზიანდა. ნაქცეულია ხეები.

ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან ერთად შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ.

– ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მესამე დღეა

სტიქიაა. დღეს (13 იანვარს) სოფელ ლესაში უბედურ შემთხვევას ერთი ახალგაზრდას სიცოცხლე ემსხვერპლა. მინდა მივუსამძიმრო და თანაგრძნობა გამოვუცხადო გარდაცვლილის ოჯახს. მთელი დღის განმავლობაში ზარები შემოდის ცხელ ხაზზე. ამ დროისთვის 200-მდე სახლის სახურავია დაზიანებული. მზად ვართ აუცილებლობის შემთხვევაში ქირავნობის პროგრამაში ჩავსვათ დაზარალებულები.

დღის წინ აღდგა როგორც ბუნებრივი აირის, ასევე ელექტროენერჯის სრულად მიწოდება – აღნიშნა ალექსანდრე სარიშვილმა.

>>> 83-2

შალომ კლუბის პრეზიდენტი

ძვირფასო გურულებო, „შალომ კლუბი“ გილოცავთ კალანდას. მრავალს დაესწარიო 2022 წელი წარმატებული იყო გურიისათვის. 2023 წელს კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოეტანოს. ხვალი და ბარაქა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. SHALOM

ვასილ ჩიგოგია,
ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ჩემს ოზურგეთს, გურიას, სრულიად საქართველოს და მის აღმატებულებას ქართულ თეატრს ვულოცავ შობა-კალანდას. მშვიდობის, სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს იგი თქვენი და თქვენი ოჯახებისთვის

თამაზ ტულუპი,
ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ნატანებში

ჩემო ოზურგეთელებო, ნატანებელებო გილოცავთ შობა კალანდას გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სიკეთისა და ბედნიერების მოტანი თითოეული თქვენთაგანისთვის, ხვალი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ.) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ.) მთლიანი გვერდებისა -150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად, (810 კვ.სმ.) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. სმ.) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის ღირებულება 50 ლარით იზრდება.ზ- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. სმ-ზე, სურათით 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი -სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.)-2 ლარი.

საცალო ფასი: 60 თეთრი.
ხელმოწერა:
ერთი თვით -2,40 ლარი;
სამი თვით -7,20 ლარი;
6 თვით -15 ლარი;
ერთი წლით -30 ლარი.
გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.
ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.
რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.
გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

სარედაქციო კოლეგია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 49 91 00
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 57 60 60
რედაქციის მისამართი:
ქ.ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ. 558 499100
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11.2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე
„ალიონი“

ს ტ ი ქ ი ა გ უ რ ი ა შ ი „აბსოლუტურად ყველა დაზიანებულ ოჯახს მივაქცევთ სათანადო ყურადღებას“

ძლიერმა ქარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, დაბებს და სხვა დასახლებულ პუნქტებს. გარკვეული ზიანი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსაც მიაღწა. მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე მერმა **დავით შარაშიძემ** სოციალურ ქსელში გააკეთა კომენტარი:
- ძლიერი ქარის შედეგად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ზიანი მიაღწა, მთავარ ქუჩაზე ნაიქცა რამდენიმე ხე, რის გამოც მოძრაობა ჩაიკეტა, სამაშველო სამსახურის და მერიის კომუნალური სამსახ-

ურის მიერ მოხდა დროული რეაგირება, ასევე სოფლებში დაზიანდა სახლების სახურავები, საახალწლო განათებები, ადმინისტრაციული შენობები. მობილიზებულია შესაბამისი ჯგუფები ზიანის გამოსასწორებლად და მიმდინარეობს შესაბამისი კომისიის მიერ ზარალის შესწავლა და დათვლა, მინდა საზოგადოება დაეამშვიდო და გითხრათ, რომ აბსოლუტურად ყველა დაზიანებულ ოჯახს მივაქცევთ სათანადო ყურადღებას, - აცხადებს ჩოხატაურის მერი.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტრადიციული საშობაო „ალილო“ გაიმართა



შობის დღესასწაულზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტრადიციული საშობაო „ალილო“ გაიმართა. მუხედავად ცუდი ამინდისა, მამაობმა თამარ მეფის სანინამძღვრო ჯვრით ქალაქში მსვლელობა მოაწყვეს. მსვლელობის მონაწილეებს საშობაო საჩუქრები გადასცეს, საპატრულო და გურიის სამხარეო და ოზურგეთის რაიონული პოლიციამ, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა ვასილ ჩიგოგიძემ და ზაზა ჯინჭარაძემ, ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლელა იმედაშვილმა და სხვებმა. მსვლელობას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ზაზა შოშიტიანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან შეუერთდნენ და სასულიერო პირებს საშობაო საჩუქრები გადასცეს. „ალილოზე“ შეგროვებული შესანიჩი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცა.

შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ლანჩხუთში ტრადიციული ალილო მოეწყო.



ალილოს მონაწილეებმა მსვლელობა მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩიდან დაიწყეს. მათ შუხუთის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი საბა, მრევლთან ერთად შეუერთდა. შობის დღესასწაული მეალილოებს მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, პირველმა მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძემ, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა მაია ლომთაძემ მიულოცეს. შეგროვილი ნობათი სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ მოსახლეობას გადაეცემა. - ქრისტეშობას ვულოცავ ლანჩხუთს და სრულიად საქართველოს. დაე, ჩვენს გულებშიც იშვას ქრისტე. სისარულს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ. მრავალს დაესწარით! - აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

ენერგო პრო ჯორჯიას ოზურგეთის სერვის ცენტრი გილოცავთ შობა კალანდას



სწრაფ ჭადრაკში ლანა ლომაძემ გაიმარჯვა

13 იანვარს, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ტრადიციული სახალწლო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. ტურნირი, რომელიც წრიული სისტემით 10 მონაწილეს შორის გაიმართა, დამთავრდა ქალთა შორის გურიის ჩემპიონის — ლანა ლომაძის გამარჯვებით. მან 9 შესაძლებლობიდან 8 ქულა დააგროვა და ერთი ქულით გაუსწრო მეორე-მესამე ადგილზე გასულ, 7-7 ქულიან ზურაბ ანდლულაძეს და ქალთა შორის ოზურგეთის ჩემპიონს ნათია ვასაძეს. 6,5 ქულით მეოთხე ადგილი ელგუჯა ურუშაძეს ერგო. აღნიშნული ტურნირი ჩატარდა 2023 წლის გეგმა-კალენდრის შესაბამისად, რომელიც წელს საკმაოდ დატვირთულია ადგილობრივი ჩემპიონატებით, ტურნირებით და სხვადასხვა აქტივობებით. მონაწილეთა წინასწარი შეთანხ-



მებით, საპრიზო თანხა მთლიანად მოხმარდა მსუბუქ ლანჩს, რომელიც მიეძღვნა ახალი წლის დადგომას(ძველით) და საჭადრაკო-სპორტული სეზონის გახსნას.

მადლოზა კეთილსინდისიერი მკლოლს

სოფელ ვაკიჯვარს მუნიციპალური ტრანსპორტით უკვე 10 წელია ემსახურება მძღოლი **ნარიმან ვანიძე**. იგი რეისებს რეგულარულად ასრულებს (ყოველდღიურად 3 რეისი) მუდამ მზადმყოფნაში, გამართულ მდგომარეობაში ჰყავს ტრანსპორტი. იგი თითოეული ოჯახის

მეგობარია თავისი კეთილსინდისიერებით, მგზავრისადმი ყურადღებით მთელი სოფლის პატივისცემას იმსახურებს. **მარი ნითლიაძე, ილირა ლლონი, ციური ავთიაური, როლანდ სვანიძე, გოჩა გაბაულიანი და სხვები (წარმოს ხელს აწარს ათაშაძე ვაკიჯვარელი).**



ალიონი. 13 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, ეთნოგრაფიულ ეზოში თეატრალიზებული წარმოდგენა გაიმართა კალანდის შესახებ დრამა. უამრავ სტუმართა შორის იყო კოლორიტი ოზურგეთელი, სოფელ მაკვანეთელი **ილია თოიძე**.

ილია თოიძეს საზოგადოება იცნობს, როგორც გურული მეკვერნის „ჩაქირას“ ჯიშის გადაშენებისგან გადამრჩენს, თუმცა იგი უძველესი გურული ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციების დამცველიცაა. ხშირად დადის მამისეული ნაბდით და გურული ყაბალახით.

ილია თოიძე გაზეთ „ალიონს“ კალანდის აღნიშვნის ტრადიციებზე ესაუბრა:

– გურულებს სამი დიდი დღესასწაული აქვს, ორი საეკლესიო – აღდგომა და შობა და ერთი საერო – კალანდა.

საშობაო კვერი – გურული „ღვიძელი“ (ასე ერთქვა ღვეზელს გურიაში), ნახევარმთვარის ფორმის ერთგვარი ხაჭაპურია, რომელშიც ყველთან ერთად არის მოხარული კვერცხი. მამაჩემი – ქესკინ

თოიძის გადმოცემიდან ვიცი, რომ საშობაო „ღვიძელი“ ოჯახის სიმტკიცის, ბარაქისა და ხვავის სიმბოლო იყო. ადრეც ასე ვშვებოდი და ახლაც ღვეზელისთვის კვერცხს, ორი-სამი დღით ადრე შუა ცეცხლზე, ოჯინჯალაზე ჩამოვკიდებთ, რათა მას შებოლილი არომატი მიიღოს.

კალანდისათვის სამზადისს გაცილებით ადრე ვიწყებდი. წინა საღამოს, ანუ ცხემლისჭრას აუცილებლად უნდა გვექონოდა ცხემლის შუშა და ყველა სადღესასწაულო კერძი ცხემლის შუშაზე უნდა მომზადებულიყო.

საკალანდო სუფრა წარმოუდ-

მამისგან ვიცი, რომ ჩემს ბავშვობაში ბაბუა ან მამა მეორე დღით ადრე ხის დიდ გობზე (ეს ძველი გობი ახლაც გვაქვს ოჯახში) ჩიჩილაკს, ლორის თავს, ტუბილულს დაალაგებდა და სახლსა და ბელეს სამჯერ შემოუვლიდა, შემდეგ სამჯერ დააკაკუნებდა კარზე. ოჯახის ქალბატონი სამჯერ შეეკითხებოდა: რა მოგაქვს?

– ვერცხლი, სიუხვე, ბედნიერება... პასუხობდა მეკვლე. ამის შემდეგ მეკვლე სახლში შედიოდა...

ბიძაჩემი, მამაჩემი თავად ამზადებდნენ ჩიჩილაკს. საერთოდ მაკვანეთში დღესაც რამდენიმე ადამიანი ამზადებს ჩიჩილაკს. იგი



ბოდა, ბიჭიკო ბერსენაძესთან დამთავრდებოდა. მამაკაცები, დიდი

ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ყურძენიო!...

ჩვენს მამულში გოდორი-გოდორიო, სხვის მამულში კიმპალ, კიმპალიო...

ისე, ჩვენს დროში სამ-სამ სასმისსაც კი მიირთმევდნენ თითოეულ ოჯახში.

რაც შეეხება, თუ რა დონეზე სრულდებოდა „აგუნას გადაძახილი“, ამაში მაკვანეთელები მართლაც მაგრები არიან.

ისე, თუ რეალურად გაინტერესებთ, მობრძანდით ჩვენთან მაკვანეთში, მოუსმინეთ გოლიაძეების, სიხარულიძეების, ცელაძეების, თოიძეების და სხვათა „აგუნას“ და თავად დარწმუნდებით – გვითხრა ილია თოიძემ.

„აგუნა, აგუნა, გადმეიარე...“



გენელი იყო მოხარული ლორის თავისა და მსუქანი დედალის გარეშე. ჩვენთან, მაკვანეთში საქონლის ღვიძლსაც მოხარშავდნენ და იგი თითო ნაჭერი ოჯახის ყველა წევრს უნდა მიეღო, რომ იმ წელს მაგრები იქნებოდნენ. აუცილებელი იყო ღვეზელი და გოზინაყი. დალოცვილი ნიგოზი და თაფლი უხვად იყო მაკვანეთში.

სადღესასწაულო სუფრაზე გვექონდა „ადესის“, „ალადასტურის“ ღვინო. ღამის 12 საათზე ოჯახის უფროსი „ფილთასაც“ გაისვრიდა.

ძირითადად თხილისგან მზადდებოდა. ჩიჩილაკის თავზე აუცილებლად ჯვარი უნდა ყოფილიყო, სურო და კურკანტელი უნდა დაემაგრებიათ. ჩიჩილაკს წმინდა ბასილის წვერს ადარებდნენ და ამით სიკეთესა და სიუხვეს აღნიშნავდნენ. ჩიჩილაკის გარეშე კალანდა წარმოუდგენელი იყო.

გურიაში და რა თქმა უნდა „აგუნას“ გადაძახილი კალანდის მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო. ჩემი უბანი მაკვანეთში ქალის უბანია და „აგუნას“ გადაძახილი არსენ ჭანუყვაძიდან რომ დაიწყე-

და პატარა მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზედაც ენყო ლორის თავი, სააგუნე ხაჭაპური და დოქით ღვინო. გობზე სამი სანთელი ენთო. ოჯახის მამაკაცი შუა მარანში გობს დადგამდა და სასმისით დაილოცებოდა. სასმისს აგუნაში მონაწილე ყველა მამაკაცი მიირთმევდა. შემდეგ მიდიოდნენ სანახელთან და კობულით (კომპლით) ურახუნებდნენ და გადაძახილით მღეროდნენ:

„აგუნა, აგუნა, გადმეიარე, ბახვი და ასკანა გამოიარე...“



„უკრაინიდან დედის სანახავად ჩამოვდი და ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი“



ალიონი. უკრაინის მოქალაქე იოსებ (იოსიპ) ჯინჭარაძე შარშან, სექტემბრის ბოლოს ჩამოვიდა უკრაინიდან. შემოვლით გზაზე (რუმინეთი, ბულგარეთი) მესაზღვრეებმა საბანკო ანგარიშის ბარათზე არსებული თანხა გაუნულეს და საქართველოში ჩამოსული მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულ დახმარებაზე გარკვეული პასუხი ვერ მიიღო. არადა, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან რამდენიმე დღეში ეკონომიკის მინისტრმა განაცხა-

და, რომ „საქართველო ყველა პუმანიტარულ გადაწყვეტილებებში მობილიზებულია, აღმოვეჩინეთ პუმანიტარული დახმარება ჩვენს უკრაინელ მეგობრებს... სრული მზადყოფნა გვაქვს, რომ თუ იქნებიან ლტოლვილები უკრაინიდან, მათ მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოვეჩინოთ.“

როგორც გურიის რეგიონალური სერვის ცენტრის უფროსმა **თეა ლომჯარიამ** გვითხრა, მათ იოსებ ჯინჭარაძის მიერ შევსებული განაცხადი 17 ოქტომბერს, მიღებისთანავე გადაგზავნეს, შემდეგ განმეორებით – ნოემბერში. თეა ლომჯარიამ ჩვენი თხოვნით კიდევ ორჯერ გადაამოწმა და წინასაკალნდოდ როგორც იქნა ერთი თვის დახმარება მისცეს.

იოსებ ჯინჭარაძე გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოვიდა და ვისაუბრეთ:

– 42 წლის უკრაინაში ვცხოვრობ და ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. 25 წლის წინ ჩემი ავტომანქანით ვიყავი ჩამოსული დედის სანახავად. ცუდი სიტუაცია დამხვდა. კრიმინალები აქტიურობდნენ. მალევე მომაკითხეს... ვგეგმავდი გარკვეული დროით ოზურგეთ-

ში გაჩერებას, მაგრამ იძულებული გავხდი ორი კვირის შემდეგ უკრაინაში დავბრუნებულიყავი. ზაპოროჟიეში ვცხოვრობ.

ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ვმოღვაწეობდი. სამშენებლო კომპანია, იჯარით აღებული 3500 ჰექტარი მიწა მედიტოპოლში (აკიმოვკა), მოგვყავდა პური, გვექონდა მეცხოველეობა, დასასვენებელი ბაზა კირილოვკაში; 3 ჰექტარი ბაღი, საკალმანხე და რესტორანი და ა.შ. 4-ოთახიანი ბინა მაქვს ზაპოროჟიეში, სადაც მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად ვცხოვრობდი. ფულს არ დავხარბებოვარ, იმდენი მქონდა, ნორმალურად მეცხოვრა და სახელმწიფოსთანაც პირნათელი ვიყავი.

ზაპოროჟიე სამხრეთ უკრაინის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ცენტრია. ომმა ძალიან დაგვაზარალა. მანამდეც და შემდეგაც როგორც ბევრს სხვას, მეც 7 სხვადასხვა ფირმა წამართვეს რუსებმა. მეთოდი ასეთია, შემოდიან, აფორმებენ რაღაც „მინდობილობას“, შემდეგ სასამართლო მეპატრონის დაუსწრებლად ჩამოგართმევენ კერძო საკუთრებას და გადაიფორმებენ. აღმო-

სავლეთ უკრაინაში ბიზნესმენებს შორის აღმოჩნდნენ კოლაბორაციონალისტები და ქონების შენარჩუნების ფასად რუსებთან თანამშრომლობას დათანხმდნენ. შემდგომში უკრაინის მთავრობამ მათ საკადრისი პასუხი გასცა. სხვადასხვა პროფილის 37 ქარხნის დირექტორი პასუხისგებაში მისცეს...

ბიზნესი დიდ რისკთან და ნერვიულობასთან არის დაკავშირებული. 3-ჯერ გადავიტანე ინსულტი. პირველი ჯგუფის ინვალდი ვარ... ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ომმა კიდევ უფრო გაართულა.

ოზურგეთში 87 წლის დედა მყავს. გადავწყვიტე აქ ჩამოვსულიყავი. საკმაო თანხა მქონდა ანგარიშზე. რუმინეთის – ბულგარეთის საზღვრის გადაკვეთისას პირად ელექტრონულ ბარათზე მთელი თანხა მომიხსნეს და ბარათი გამინულეს... კიდევ რეკე კიევში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელს ჩხარტიშვილს, მაგრამ რა უნდა ელონათ. კიდევ კარგი, ძვირადღირებული მედიკამენტები არ ჩამომართვეს... დღემდე მომყვა – გვითხრა მან.

– ამ კაცს ორჯერ თუ სამჯერ კი აქვს ინსულტი გადატანილი და მგონი კიდევ დამართებენ. დღევანდელი მდგომარეობა კი იცი, თითქმის ყველას პრობლემები აქვს, სადაცაა იმ ოჯახსაც არ ულხინს, ოჯახში ონკოლოგიური ავადმყოფია და უამრავი წამალი და პროცედურა სჭირდება, კიდევ კარგი ამ კაცს ჯერ-ჯერობით იქედან წამოღებული წამლები აქვს. ეს ფული ხომ მას კანონით ეკუთვნის და რატომ გადაიქცა პრობლემად ვერ ვიგებ. – გვითხრა უახლოესმა მეზობელმა, პედაგოგმა **ლია ნებიერიძემ**.

რთულ მდგომარეობაში მყოფი უკრაინის მოქალაქე იოსები ამბობდა, რომ იგი სახელმწიფოსაგან მეტ ყურადღებას ითხოვდა.

კალანდის წინა დღეებში კიდევ ერთხელ ვთხოვეთ დახმარება გურიის რეგიონალური სერვისცენტრის უფროსს თეა ლომჯარიას, რომელიც დაუკავშირდა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

ამჯერად სამინისტრომ უკრაინის მოქალაქეს ერთი თვის დახმარების თანხა „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე ჩაურიცხა.

14 იანვარი ქართული თეატრის დღე

გოგი ცინცაძე – 70



გოგი ცინცაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ადრეული ასაკიდან ეზიარა სცენას და დღემდე ჩოხატაურის სახალხო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი და რეჟისორია. იგი დაიბადა 1952 წლის 15 დეკემბერს. ბავშვობიდან გამოიჩინა სცენისადმი დიდი სიყვარული. სოფელ ერკეთის სკოლაში სწავლის დროს დრამატული წრის აქტიური წევრი იყო. ერთ-ერთი სასკოლო წარმოდგენას პიონერთა სახლის დრამატული ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან გავაშელიძე იყავდა. ისე მოხდა, რომ მოზარდის მიერ შესრულებული როლი, რომ სთხოვა პიონერთა სახლის დრამატულ ჯგუფში გაერთიანებულიყო, რაზედაც სიამოვნებით დათანხმდა.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ჩოხატაურის სახალხო თეატრში დაიწყო მუშაობა მსახიობად. რეჟისორმა სანდრო რამიშვილ-

მა და შემოქმედებითმა ჯგუფმა ნიჭიერი ახალგაზრდა დიდი სიხარულით მიიღეს. პირველი როლი, რომელიც მან შეასრულა იყო – ბოქალაძე, შალვა დადიანის „გუშინდელი“. მსახიობმა ახალგაზრდა მსახიობი გულთბილად მიიღო. ამ დღიდან გოგი ცინცაძე სახალხო თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლში მონაწილეობდა. იგი გვერდს უმშვენივრად ისეთ შესანიშნავ მსახიობებს, როგორც იყვენენ, ვალოდია მგელაძე, ბიჭიკო ლამბაშიძე, თამარ მახარაძე, მუხრან ჩიჩუა, ტიტე შარაშიძე, ზაურ კეკელიძე, ზაქრო სიხარულიძე, შმაგი ოსეფაშვილი...

1976 წელს ჩოხატაურის სახალხო თეატრის სცენაზე დაიდგა ალ. ჩხაიძის ორმოქმედებითი პიესა „დაბრუნება“, სადაც გოგი ცინცაძემ შეასრულა მისაკო ორაგველიძის როლი. ამ სპექტაკლით თეატრმა რესპუბლიკურ დათვალეობაზე მიიღო მონაწილეობა, რომელიც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა. უიურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი – არჩილ ჩხარტიშვილი შეაჯავა შე-

დგები და ჩოხატაურის სახალხო თეატრის სპექტაკლს „დაბრუნება“ პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა, ხოლო გოგი ცინცაძე ფესტივალის ლაურეატი გახდა.

1978 წელს რეჟისორ სანდრო რამიშვილის მიერ წარმატებით დაიდგა პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“, გოგი ცინცაძემ ამ სპექტაკლში წვეული უშუალოდ, ლომკაცას როლი განასახიერა. მომდევნო წლებში ხალხური შემოქმედების მეთოდური ცენტრის რეჟისორის ზურაბ ხვედელიძის მიერ დაიდგა აკაკი გენაძის „შუაზე გაყოფილი ცრემლი“. ამ სპექტაკლით ჩოხატაურის თეატრი თბილისის მოზარდ მსახიობთა თეატრში, თვითმოქმედი კოლექტივების დათვალეობაზე წარსდგა, სადაც სცენისმოყვარეებმა მოხიბლა დედაქალაქის მსახიობები და უიურის წევრები, გოგი ცინცაძემ კი მეორედ მიიღო ლაურეატობა.

გოგი ცინცაძე წლების მანძილზე მუშაობდა ოზურგეთის ალ. წუნუნაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: გურამი – „შთამომავლობა“, ზანგი მონა – „ეზოპე“, ჭიჭივილი – „თეთრი ბაირალები“, ყარამანი – „ყარამან ყანთელაძე“, მილიონერი მეზავი – „ქინქლა“ და სხვ. იგი გვერდს უმშვენივრად სცენის შესანიშნავ ოსტატებს: რომან ლომინაძეს, გივი ახმეტელს, ლამარა თურმანიძეს, გაბო მდინარაძეს, ანა ადღულაძეს, ზაირა თოთბაძეს, თემურ კვიციანიას, მარგო ავაქიანს...

იგი ასევე პარალელურად მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხის კულტურის სახლთან არსებულ დრამატულ ჯგუფში, სადაც მის მიერ დაიდგა და ასევე შეასრულა როლები: ამ-



ბაკო – შ. როყვა „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“, ნიკო – ა. დევიძე „ჩემი სიდედრი“, გივი – ე. კანდელაკი „იმნარი სიყვარული“, შალვაოვიჩი – გ. ცინცაძე „მდგმურები“ და ასევე მრავალი საკონცერტო ნომრები. ერთ-ერთი სპექტაკლი „ქოლგა-ვოლგა“ წარმოადგინეს აგიტმხატვრული ბრიგადების დათვალეობაზე, რომელიც ჩატარდა ველისციხეში. სპექტაკლმა ისეთი მაღალი დონე აჩვენა, რომ კულტურის სამინისტრომ ბუკისციხის დრამატულ ჯგუფს სახალხო თეატრის სტატუსი მიანიჭა.

ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გოგი ცინცაძეს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში არსებულ თოჯინების თეატრის განვითარებაში. სპექტაკლებში სხვადასხვა როლის საუკეთესო შესრულებისთვის, რამდენჯერმე მიენიჭა ლაურეატის ნობეა ჩოხატაურის სახალხო თეატრის სცენაზე რამდენიმე წელია მსახიობებს ალფრთოვანების გოგი ცინცაძის მიერ დადგმული სპექტაკლები – გ. ხუგაშვილის – „ჩემი სიდედრი“, შ. შამანაძის –

„ლია შუშბანდი“, ნ. დუმბაძის – „მზიანი გული“, რ. ერისთავის – „უჩინარის ქუდი“ თ. მეტრეველის – „სუბერ ქართველები“, ა. მითაიშვილის – „ჭკვიანი გიჟები ანუ გამოდი სულო სინათლეზე“, დ. კლდიაშვილის – „დარისპანის გასაჭირი“, ამ სპექტაკლით ჩოხატაურის თეატრმა მარნეულში ჩატარებულ სახალხო თეატრების ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა და გრან-პრი დაიმსახურა.

გოგი ცინცაძე თავისი ნაღვანით ალამაზებს ჩოხატაურის თეატრს და თავისი კუთვნილი ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორიაში. მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი ამ ნიჭიერი ადამიანის სცენური პარტნიორი და მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მიმელო მონაწილეობა.

გილოცავ ჩემო გოგი დაბადების – 70 წლისთავს. ასევე გილოცავ ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს და გისურვებ კვლავ ჩვეული შემართებით გელვანოს ჩოხატაურის თეატრის წინსვლისა და განვითარებისთვის.

ქაითავან კუკულავა

თოჯინების თეატრის საქველმოქმედო აქცია ბაილეთში



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი ტრადიციულად საქველმოქმედო აქციებს აგრძელებს. ისინი საკუთარი ხარჯებით აგროვებენ საქველმოქმედო ტვირთს, რომელიც მრავალი სახის საკვები პროდუქტებისაგან და ოჯახისათვის საჭირო სხვა საშუალებებისგან შედგება.

როგორც თოჯინების თეატრის დირექტორი ლაშა კუტალაძე ამბობს, ისინი არჩევენ სოციალურად დაუცველ ან მრავალშვილიან ოჯახს და იმდენად ეხმარებიან, რომ ეს ოჯახის ბიუჯეტმა გარკვეული დროის მანძილზე იგრძნოს.

ამჯერად თოჯინების თეატრის მსახიობები სოფელ ბაილეთში



ჩხარტიშვილების მრავალშვილიან ოჯახს ეწვინენ. ტვირთის გადაცემასთან ერთად, პატარებს „თოვლის ბაბუა“ და „სანტა კლაუსიც“ ეწვია და სახალისო ნომრებით გაახალისეს პატარები.

თოჯინების თეატრის მსახიობებმა სხვა საქველმოქმედო აქციაში მიიღეს მონაწილეობა. სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებ თანამოქალაქეებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიუპრიზიც მოუყვეს და პატარებს თოვლის ბაბუა მიუყვანეს. თოჯინების თეატრის მსახიობებმა მათ განწყობაზე იზრუნეს და სხვადასხვა მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

სახალხო ზეიმი №4 საბავშვო ბაღში



სიყვარული მრავალ ახალ წელს! ბაღის ყველა ჯგუფის აღსაზრდელი მონაწილეობდა.

ლონისძიების მთავარი შემოქმედნი მუსიკის პედაგოგი ნანა ქილიფთარი, ლონისძიების წამყვანი მედეა გირკელიძე; თოვლის ბაბუა – ხათუნა ვაჩნაძე, ბებია – ცირა ჩხაიძე.

საბავშვო ბაღის სააღზრდელი ჯგუფებმა საინტერესო აქტივობები განახორციელეს: 2-3 წლიანების ჯგუფის „გვირილები“ აღსაზრდელმა თავი მოიწონეს სიმღერითა და ცეკვით; შემდეგ თოვლის ბაბუამ 3-4 წლიანების „ჭიამაიებს“ მოუხმო და მათაც ლამაზად შესარულეს სიმღერა „ახალი წელი“; 4-5 წლიანების „მტრედებმა“ – შობის საგალობელი; „მზაობის“ ჯგუფმა „ცისარტყელა“ ჩვენც ვიმღერებთ, ჩვენც ვიცეკვებთ.“

ლონისძიება-კარნავალი ნანა კეკელიძემ გააფორმა.

ლონისძიების მთავარი შემოქმედნი მუსიკის პედაგოგი ნანა ქილიფთარი, ლონისძიების წამყვანი მედეა გირკელიძე; თოვლის ბაბუა – ხათუნა ვაჩნაძე, ბებია – ცირა ჩხაიძე.

საბავშვო ბაღის სააღზრდელი ჯგუფებმა საინტერესო აქტივობები განახორციელეს: 2-3 წლიანების ჯგუფის „გვირილები“ აღსაზრდელმა თავი მოიწონეს სიმღერითა და ცეკვით; შემდეგ თოვლის ბაბუამ 3-4 წლიანების „ჭიამაიებს“ მოუხმო და მათაც ლამაზად შესარულეს სიმღერა „ახალი წელი“; 4-5 წლიანების „მტრედებმა“ – შობის საგალობელი; „მზაობის“ ჯგუფმა „ცისარტყელა“ ჩვენც ვიმღერებთ, ჩვენც ვიცეკვებთ.“

ლონისძიება-კარნავალი ნანა კეკელიძემ გააფორმა.

უფასო ტაქსი ოზურგეთის სამსახურში

ალიონი. უკვე რამდენი წელია ოზურგეთელი ჯემალ კეჭაყმაძე დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე საკუთარი ავტომობილით უფასოდ ემსახურება ადამიანებს.

ჯემალ კეჭაყმაძე ოზურგეთის თეატრის მსახიობი, (გადაღებული კინოფილმებშიც), საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, არის რამდენიმე წინის ავტორი. ეროვნული მოძრაობის წლებში იყო აჭარა-გურიის „საძმოს“ დამფუძნებელი. მისი ძალისხმევით და უფლის შემწეობით აღდგა კვირიკეთის წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძარი.

2014 წელს იგი ფეხით ჩავიდა ოზურგეთიდან ბათუმში ერთ-ერთ ლონისძიებაზე დასასწრებად.



7 იანვარს, დილიდან ჯემალი კეჭაყმაძის ტაქსი ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინ იდგა და უფასოდ მოემსახურა მგზავრებს ცხემლისხიდის, ლიხაურის, სხვა მიმართულებებით.

ქვირფასო გურულებო, გილოცავთ შობა კალანდას!



ვაჰტა კილურაძე,

ოზურგეთის საკრებულოს სამან-დატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე



ბეჰა თორია,

ოზურგეთის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



დავით ჭავჭავაძე,

ოზურგეთის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე



გოჩა კილარაძე,

ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მადგილე




ეროლდი გორდეაშვილი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი




ამირან გირკველიძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი



ლევან კილარაძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი




ბაჩანა ნიშვაშვილი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ცხემლისხიდის, ვაკიჯვრის, მთისპირის ტერიტორიულ ერთეულებში



ვლადიმერ ჩავჭავაძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ მთისპირის ტერიტორიულ ერთეულში



ირაკლი ჯავაშვილი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ ასკანის ტერიტორიულ ერთეულში



საამაღებლო მასალების და ტექნიკის მაღაზია ლიზი გილოცავთ შობა კალანდას



სავაჭრო ცენტრი მოდერნი გილოცავთ შობა კალანდას



შპს „გამაგანი 18“ გილოცავთ შობა კალანდას!

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, +5+13 17 იანვარი სამშაბათი	მზა ღრუბალი, +6+14 18 იანვარი ოთხშაბათი	მზა, +5+10 19 იანვარი ხუთშაბათი	მზა, +9+14 20 იანვარი პარასკევი	მზა, +9+16 21 იანვარი შაბათი	მზა, +9+17 22 იანვარი კვირა	მზა, ღრუბალი +7+10 23 იანვარი ორშაბათი
---------------------------------------	---	---------------------------------------	---------------------------------------	------------------------------------	-----------------------------------	--